

ტესტის სახელწოდება

ანტი-მიულერული ჰორმონი (ამჰ)

ტესტის ალტერნატიული დასახელება

მიულერის მაინჰიბირებელი ფაქტორი

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ტესტი სისხლში ამჰ-ს რაოდენობას ადგენს. ამჰ ჰორმონია, რომელიც რეპროდუქციული ორგანოების – სათესლე ჯირკვლებისა და საკვერცხეების მიერ გამოიმუშავდება. პრენატალურ პერიოდში ამჰ მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნაყოფის სქესობრივ დიფერენციაში – მამრობითი სქესის ნაყოფში იგი თრგუნავს მდედრობითი სქესის რეპროდუქციული ორგანოების განვითარებას.

ქალებში ამჰ სქესობრივი მომწიფების ასაკამდე ძალიან დაბალია, შემდეგ კი მკვეთრად იმატებს. მენოპაუზის მოახლოებასთან ერთად მისი რაოდენობა ისევ იკლებს და მენოპაუზის შემდეგ, ჩვეულებრივ, მისი აღმოჩენა აღარ ხერხდება.

ქალებში ამჰ-ს დონემ შეიძლება მოიმატოს პოლიციტური საკვერცხის სინდრომის და ზოგიერთი სახის საკვერცხის კიბოს დროს.

ამჰ-ს ტესტი სხვა ანალიზებთან ერთად კეთდება და გამოიყენება:

- ჩასახვის უნარის შესაფასებლად
- მენოპაუზის დადგომის წინასწარ განსაზღვრისთვის
- მდგომარეობის შესაფასებლად პოლიციტური საკვერცხის სინდრომის დროს
- საკვერცხის კიბოს გამო ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ამჰ-ს ტესტი ინიშნება:

- როდესაც ქალს პოლიციტური საკვერცხის სინდრომი აქვს
- საკვერცხის კიბოს გამო ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად და დაავადების შემდგომი მონიტორინგისთვის
- იმის დასადგენად, თუ დაახლოებით როდის დაიწყება მენოპაუზა
- როდესაც ქალს ფერტილობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, ამჰ-ს ტესტი საკვერცხეების ფუნქციონირების შესაფასებლად გამოიყენება. ეს ანალიზი ხშირად ინიშნება იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტური იქნება ინ ვიტრო განაყოფიერება.
- მამრობითი სქესის ახალშობილებში ეს ანალიზი ინიშნება სათესლე ჯირკვლების არარსებობის ან მათი არასათანადო ფუნქციონირების დროს

როგორ კეთდება ეს ტესტი?

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი განსაკუთრებულ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

ამჰ-ს ნორმაზე მაღალი მაჩვენებელი შესაძლოა გამოწვეული იყოს პოლიციტური საკვერცხის სინდრომით ან საკვერცხის კიბოთი.

ამჰ-ს დაქვეითებული დონე საკვერცხის დაბალ რეზერვზე მიუთითებს. ეს კი, თავის მხრივ, ინ ვიტრო განაყოფიერების წარმატების შანსს ამცირებს.

ქალებში ამჰ, ჩვეულებრივ, ძალიან დაბალია სქესობრივ მომწიფებამდე და მენოპაუზის შემდეგ კი საერთოდ აღარ ხერხდება მისი აღმოჩენა სისხლში.